საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2740 2017 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.586) (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ) პირველ სართულზე არსებული წინასწარ განსაზღვრული ფართი (საერთო ფართი: 4 $მ^2$), ბანკომატის, სწრაფი გადახდის, სავაჭრო და ყავის აპარატების განთავსების მიზნით (1 ერთეული ბანკომატი – 1 $მ^2$ ფართობი; 1 ერთეული სწრაფი გადახდის აპარატი – 1 $მ^2$ ფართობი; 1 ერთეული სავაჭრო აპარატი – 1 $მ^2$ ფართობი; 1 ერთეული ყავის აპარატი – 1 $მ^2$ ფართობი), 2019 წლის 1 იანვრამდე უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადასცეს შესაბამის პირებს.

2. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი